აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 21

21 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამაზ შარმანაშვილი, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე და ანზორ ბაღათურია.

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრი ირაკლი გვარამია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებთან დაკავშირებით რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაციების: „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის“, „ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაციის“, „ახალი თაობა – ახალი ინიციატივისა“ და უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ქართული პოლიტიკის“ წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დღის წესრიგში შეტანილი უნდა იქნას ცვლილება, ვინაიდან 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისას საუბნო საარჩევნო კომისიებს ესაჭიროებათ ბეჭდები. საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად ბეჭდის სახე დადგენილი უნდა იქნეს უსკოს მიერ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის ცვლილების გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 08 სექტემბრის №7 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის შესახებ;

(მომხ: ა. მიქელაძე)

2. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

(მომხ: თ. შარმანაშვილი)

3. ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ.

(მომხ: ა. მიქელაძე)

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 08 სექტემბრის №7 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის შესახებ;

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 08 სექტემბრის №7 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ №79 ბათუმის, №81 ქობულეთისა და №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებთან დაკავშირებით

გამონაკლის შემთხვევაში შეიქმნა ხუთი საარჩევნო უბანი. ასევე აღნიშნა, რომ შექმნილი საარჩევნო უბნებისათვის ხსენებულ ოლქებს ესაჭიროება დამატებით ფულადი სახსრები, რისთვისაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ 2008 წლის 08 სექტემბრის №7 დადგენილებით დამტკიცებული საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი დანართში. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა დავით რობაქიძემ. მან აღნიშნა, რომ გადაზიდვის ხარჯები არ უნდა იყოს ყველა ოლქისათვის თანაბარი იქიდან გამომდინარე, რომ უბნების რაოდენობა ხსენებულ ოლქების მიხედვით სხვადასხვაა. კერძოდ: ზოგიერთ ოლქს უბანი აქვს მეტი, ზოგიერთს შედარებით ნაკლები.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ კომისიის წევრის დავით რობაქიძის განცხადება არ ეხებოდა მოცემულ საკითხს და ამ საკითხზე ინფორმირებისათვის მიემართა ეკონომიკური სამსახურისათვის, რის შემდეგაც კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 1:

(კენჭისყრას მონაწილეობდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 80-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2008 წლის 19 ოქტომბრის №16/2008 და №17/2008 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებზე საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების

განაწილებისა და გამოყენების წესისა და ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის თაობაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 08 სექტემბრის №7 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	ოლქის №	ოლქის დასახელება	ოლქის ხარჯები			უბნის ხარჯები	უბნების რაოდენობა	**სულ ოლქი**	ოლქის დამხმარე პერსონალის ხელფასები 2008 წ.			**სულ ჯამი**
			გადაზიდვის ხარჯები	სხვა ხარჯი	**სულ**				პერსონალის რაოდენობა	ხელფასის ოდენობა	**სულ 2 თვე და 20 დღე**	
1	79	ბათუმი	1700	1430	3130	260	75	22630	8	400	8534	31164
2	80	ქედა	1700	1430	**3130**	260	31	**11190**	5	400	**5334**	**16524**
3	81	ქობულეთი	1700	1430	**3130**	260	62	**19250**	8	400	**8534**	**27784**
4	82	შუახევი	1700	1430	**3130**	260	49	**15870**	5	400	**5334**	**21204**
5	83	ხელვაჩაური	1700	1430	**3130**	260	66	**20290**	8	400	**8534**	**28824**
6	84	ხულო	1700	1430	**3130**	260	51	**16390**	5	400	**5334**	**21724**
	სულ						**334**	**105620**	**39**		**41604**	**147224**

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახსებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო საარჩევნო საბუთების სახეს. მომხსენებელმა საარჩევნო კომისიას წარუდგინა უმაღლესი საბჭოს წევრის დროებითი მოწმობისა და ამომრჩევლის ბარათის ფორმები, ისაუბრა წარმოდგენილი ფორმების შესახებ და აღნიშნა, რომ უმაღლესი საბჭოს

წევრად არჩევის შემდეგ ვიდრე უმაღლესი საბჭო ცნობს მათ უფლებამოსილებას, უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ უმაღლეს საბჭოს წევრებს უნდა გასცეს დროებითი მოწმობები. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს უმაღლესი საბჭოს წევრის დროებითი მოწმობა (ფორმა №6-07.61.01) თანდართული ნიმუშის მიხედვით.

2. დამტკიცდეს ამომრჩევლის ბარათი (ფორმა №5-07.62.02) თანდართული ნიმუშის მიხედვით.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისას საუბნო საარჩევნო კომისიებს ესაჭიროებათ ბეჭდები. ასევე აღნიშნა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ აჭარის ტერიტორიაზე არსებულ ოლქებისა და უბნების რაოდენობა, ნომრები და

საზღვრები იგივეა, რაც საქართველოს 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებისას შესაძლებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისას საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის გამოყენებული იქნას ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დამზადებული შტამპები „არჩევნებიდან მოხსნილია“, რეგისტრატორის სპეციალური ბეჭდები და საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდები, რომლებიც დალუქულია და ინახება საოლქო საარჩევნო კომისიებში. ასევე აღნიშნა, რომ ხსენებული ბეჭდები გამოთხოვილი იქნება ოლქებიდან, რომლებიც უმაღლეს საარჩევნო კომისიაში გადაითვლება, შემოწმდება, დაილუქება, და გადაეცემა ოლქებს მათ მიერ შექმნილ საარჩევნო უბნებისათვის გადასაცემად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა თამაზ შარმანაშვილმა, თამარ ხოზრევანიძემ, გია გარსევანიშვილმა, ასლან ჩავლეიშვილმა, ანზორ ბაღათურიამ, ქეთევან ჯიქიამ, ავთანდილ ჩახვაძემ, თენგიზ ცინცქილაძემ, ლევან გაბრიჩიძემ, მამუკა ჯაშმა და დავით რობაქიძემ აღნიშნეს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლი 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის გამოყენებული ყოფილიყო ცესკოს მიერ დამზადებული შტამპები „არჩევნებიდან მოხსნილია“, რეგისტრატორის სპეციალური ბეჭდები და საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდები.

დაადგინეს: კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისას საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის გამოყენებული ყოფილიყო ცესკოს მიერ დამზადებული შტამპები „არჩევნებიდან მოხსნილია“, რეგისტრატორის სპეციალური ბეჭდები და საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდები.

მიღებულია განკარგულება.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიები სარგებლობენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2007 წლის 17 ნოემბრის 17/2007 განკარგულებით დამტკიცებული შტამპით „არჩევნებიდან მოხსნილია“ (ფორმა № 5-1.17.02.), რეგისტრატორის სპეციალური ბეჭდით (ფორმა № 5-1.04.02) და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2008 წლის 24 აპრილის №342/2008 განკარგულებით დამტკიცებული საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით (ფორმა № 5-1.10.04).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. სხვადასხვა.

მოისმინეს: კომისიის წევრებმა გია გარსევანიშვილმა და თამაზ შარმანაშვილმა აღნიშნეს, რომ ისინი გასული იყვნენ №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის რამოდენიმე საარჩევნო უბანზე, სადაც საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები სამუშაო საათებში არ იმყოფებოდნენ უბანზე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მიეცეს დავალება უსკო-ს აპარატის საორგანიზაციო სამსახურს გააკონტროლოს და მისცეს შესაბამისი მითითება საოლქო საარჩევნო კომისიებს რათა საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები და უბნის წევრები სამუშაო საათებში იმყოფებოდნენ უბანზე.

სხდომაზე სხვა საკითხი არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია